№2615 2014 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში – დეპარტამენტი), 2014–2015 წლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, განახორციელოს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი–სენაკი–ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 154–ე კმ–ზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

2. დეპარტამენტმა, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურება განახორციელოს შესაბამისი წლებისთვის მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში.

3. „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილების მე–14 მუხლის მე–3 პუნქტის საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდეს პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად, შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

4. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული, 2015 წელს განსახორციელებელი, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება განახორციელოს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ პროგრამით (პროგრამული კოდი: 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებებიდან.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**